სასჯელაღსრულებისა და პრობაციის
მინისტრს ბატონ კახა კახიშვილს

რეკომენდაცია

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის N19 დაწესებულებაში არაადამინური და დამამცირებელი მოპყრობისა და სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის გამო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-20[1] მუხლის და ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

საქართველოს სახალხო დამცველი შეისწავლის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის N19 დაწესებულებაში (შემდგომში „N19 დაწესებულება“) მოთავსებული პატიმრების - გ. ხ-ს, ბ. მ-სა და კ. ლ-ს მიმართ დამამცირებელი მოპყრობისა და სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტებს (საქმეები N5603/15 და N13593/15).

საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია N19 დაწესებულებიდან, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოინახულეს N19 დაწესებულება და ინფორმაცია მიიღეს დაწესებულების დირექტორის ბატონი გ. დ-ს, დირექტორის მოადგილის ბატონი ნ. კ-ს, მთავარი ექიმის – ა. ი-ს, მკურნალი ექიმის და სამეურნეო ნაწილში მცხოვრები მსჯავრდებულებისგან. ვიზიტის დროს, ასევე, დათვალიერდა დაწესებულების ძირითადი კორპუსი და სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული პატიმრებისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი კორპუსი.

I. ფაქტობრივი გარემოებები

მსჯავრდებულები გ. ხ., ბ. მ. და კ. ლ. ტუბერკულოზის სამკურნალოდ მოთავსებულნი არიან N19 დაწესებულებაში, სამეურნეო ნაწილის იმ კორპუსში რომელშიც დალაგება-დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირები არიან მოთავსებულნი[1].

გ. ხ. აღნიშნავს, რომ დაწესებულების ადმინისტრაციამ ის მოათავსა სამეურნეო ნაწილის იმ კორპუსში რომელშიც დალაგება-დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირები არიან მოთავსებულნი, 2009 წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N18 დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის გამო. ადმინისტრაციამ მას უარი უთხრა ძირითად საცხოვრებელ კორპუსში გადასვლაზე დისკრიმინაციული მოტივით, რის გამოც მას ცხოვრება უწევს არასათანადო პირობებში, სადაც არის სიცივე, სინესტე და გაუმართავი სველი წერტილები. ბ. მ. აღნიშნავს, რომ იგი სამეურნეო ნაწილში მოთავსების შემდეგ დაავადდა ქრონიკული ტუბერკულოზით. მან მიმართა დაწესებულების ადმინისტრაციას ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრებისათვის განკუთვნილ საცხოვრებელში გადაყვანის მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ. ბ. მ. აცხადებს, რომ მის ამჟამინდელ საცხოვრებელში არის ანტისანიტარია, სინესტე და სახურავიდან ჩამოდის წყალი.

2015 წლის 29 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები, იმყოფებოდნენ პენიტენციური დეპარტამენტის N19 დაწესებულებაში, სადაც გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს ბატონ გ. დ-ს, დირექტორის მოადგილეს ბატონ ნ. კ-ს და რამდენიმე პატიმარს. ვიზიტის დროს ასევე, დათვალიერდა დაწესებულების ძირითადი კორპუსი, სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული

[1] ციხეში არსებობს დადგენილი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პატიმრებს დალაგება-დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პატიმრების კორპუსში ათავსებენ. როდესაც არსებობს თუნდაც ეჭვი, რომ პირი შესაძლოა წარსულში ნებით ან ძალდატანებით იყო სექსუალურ კავშირში მისივე სქესის პირთან, მისი განთავსება აუცილებლად უნდა მოხდეს სხვა პატიმრებისგან განცალკევებით - სამეურნეო ნაწილის განცალკევებულ შენობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სერიოზული საფრთხე დაემუქრება სხვა პატიმრების მხრიდან. აქვე, ასევე შესაძლოა მოთავსდნენ პირები, რომლებმაც ჩაიდინეს ძალმომრეობითი სექსუალური ხასიათის დანაშაული და ისეთი პირები რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო პატიმრების მხრიდან გახდნენ ძალადობის მსხვერპლი. ციხის დაუწერელი წესებიდან გამომდინარე, განცალკევებით მოთავსებულ დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პატიმრებს სხვადასხვა დამაკნინებელი სიტყვებით მოხსენიება ხდება და მათი კომუნიკაცია სხვა მსჯავრდებულებთან შეზღუდულია. ამ კორპუსს პატიმრები და ადმინისტრაცია ასევე მოიხსენიებს, როგორც „სექსუალური უმცირესობის საცხოვრებელს“.

პატიმრებისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი კორპუსი და მოხდა პატიმრებთან გასაუბრება.

N19 დაწესებულებაში ფუნქციონირებს 5 შენობა. ძირითადი სამკურნალო კორპუსი ტუბეკულოზით დაავადებულებისთვის, მედიკამენტებზე რეზისტენტული პატიმრებისთვის განკუთვნილი სამკურნალო კორპუსი, ბრალდებულთათვის განკუთვნილი კორპუსი და ორი კორპუსი სამეურნეო ნაწილისთვის.

N19 დაწესებულებაში, დათვალიერების დროს, განთავსებული იყო 114 პატიმარი, რომელთაგან 104 მსჯავრდებულია და 10 ბრალდებული. 88 პატიმარი არის ტუბერკულოზის სამკურნალო პროგრამაში ჩართული, ხოლო 26 პატიმარი არის სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული.

ტუბერკულოზით დაავადებული 88 პატიმართაგან, ძირითად საცხოვრებელ კორპუსში მოთავსებული ჰყავთ 74 პატიმარი. ქრონიკული ტუბერკულოზით დაავადებული 11 პატიმარი, რომლებიც რეზისტენტულები არიან დანიშნული მედიკამენტების მიმართ, მოთავსებული ჰყავთ დაწესებულების ძირითადი საცხოვრებელი კორპუსისგან განცალკევებით არსებულ შენობაში. ხოლო ტუბერკულოზით დაავადებული დანარჩენი 3 პატიმარი (გ. ხ., ბ. მ. და კ. ლ.) ადმინისტრაციას მოთავსებული ჰყავს სამეურნეო ნაწილში იმ კორპუსში, რომელშიც დალაგება-დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პატიმრები არიან მოთავსებულნი.

სამეურნეო ნაწილში სულ ჩარიცხულია 26 პატიმარი, რომელთათვისაც გამოყოფილია ორი საცხოვრებელი შენობა. ერთ შენობაში მოთავსებულია 12 პატიმარი, ხოლო მეორე დალაგება-დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პირთათვის განკუთვნილ შენობაში ჩარიცხულია 14 პატიმარი. ამ 14 პატიმართან ერთად ჰყავს დაწესებულების ადმინისტრაციას განთავსებული გ. ხ., ბ. მ. და კ. ლ., ვინაიდან, ადმინისტრაციის განმარტებით, ისინი მიეკუთვნებიან გბტ[2] თემს[3].

დაწესებულების ძირითადი საცხოვრებელი კორპუსი შედგება ხუთი სართულისგან. პირველი სართული განკუთვნილია სამედიცინო პერსონალისთვის, ხოლო მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულები განკუთვნილია პატიმრების საცხოვრებლად. დაწესებულების თითოეული სართული შედგება ორი ფლიგელისგან, მათ შორის, მეორე სართულის ერთი ფლიგელი განკუთვნილია მხოლოდ ბრალდებულებისთვის.

[2] გეი, ბისექსუალი, ტრანსექსუალი.

[3] სახალხო დამცველი აქვე განმარტავს, რომ არც ერთ მათგანს არ გაუკეთებია თვითიდენტიფიცირება აღნიშნული თემისადმი მათი კუთვნილების თაობაზე

დაწესებულებაში ვიზიტის დროს მეხუთე სართულის ორივე ფლიგელი დაკეტილი იყო და არცერთი პატიმარი არ ჰყავდათ მოთავსებული.

ვიზიტის დროს დათვალიერდა სამივე პატიმრის საცხოვრებელი ფიზიკური გარემო და პირობები. სამივე საკნის კედლები, იატაკი და ჭერი არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში, ფანჯრები არის დაზიანებული. გ. ხ-ს საკანში, ფანჯრებს მინები არ აქვს და მის ნაცვლად მიჭედებული აქვს ლოგინის გადასაფარებლები სითბოს შენარჩუნების მიზნით, რის გამოც არ შემოდის დღის სინათლე. კ. ლ-ს საკანში ერთ-ერთი ფანჯრის ცალ ფრთასა და ასევე, კარის ზედა ფანჯარას მინა არ აქვს და მხოლოდ პოლიეთილენის პარკებით არის დახურული. ბ. მ-ს საკანში ფანჯრის მინები ზოგიერთგან დაზიანებულია და აფარებული აქვს პოლიეთილენის პარკები. სამივე პატიმარი გათბობისთვის იყენებს ელექტრო ქურებს ან/და თვითნაკეთ გამათბობელს, თუმცა არ არის საკმარისი სითბო. საკნის კედლებზე არის ძველი და დაუცველი, ღია ტიპის ელექტრო სადენები, რაც დამატებით საფრთხეს ქმნის და მოკლე ჩართვის შემთხვევაში შესაძლოა გახდეს ხანძრის გამომწვევი მიზეზი. სამივე საკანში არის ანტისანიტარია, დადიან ტარაკნები და სხვა მწერები. ძირითადი საცხოვრებელი კორპუსისგან განსხვავებით, ამ კორპუსში არ არის ინდივიდუალური საშხაპე და მოწესრიგებული ტუალეტი. შხაპის მისაღებად ან ტუალეტით სარგებლობის შემთხვევაში უწევთ ცივი დერეფნის გავლა, რომელიც არ არის აღჭურვილი გათბობის სისტემით. ასევე, გათბობის სისტემა არ არის დამონტაჟებული საშხაპეში, წყლის დაზიანებული მილებიდან იღვრება წყალი საშხაპისა და ტუალეტის ტერიტორიაზე.

სამეურნეო ნაწილის სხვა საკნებში ფიზიკური გარემო ზემოთ აღწერილი სამი პატიმრის საცხოვრებელ პირობებზე შედარებით უკეთესია.

ძირითადი კორპუსი კარგად არის გარემონტებული და ფიზიკური გარემო სამკურნალო დაწესებულების შესაბამის მდგომარეობაშია, გათბობაც და ვენტილაციაც საკმარისია. თითოეულ საკანს აქვს ინდივიდუალური სველი წერტილი, რომელიც აღჭურვილია საშხაპითა და ტუალეტით. მეხუთე სართული აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, თუმცა არის დაკეტილი.

ბრალდებულებისათვის განკუთვნილი ფლიგელის ერთ საკანში განთავსებულია ტუბერკულოზით დაავადებული პატიმარი რ. გ., რომელიც მანამდე გ. ხ -სთან, ბ. მ-სთან და კ. ლ-სთან ერთად იყო მოთავსებული და ადმინისტრაცია ასევე მიაკუთვნებდა მას გბტ თემს, თუმცა ვინაიდან აღნიშნული პატიმარი ხშირად

იყენებდა თვითდაზიანებებს, ადმინისტრაცია იძულებული გახდა გადაეყვანა ძირითად საცხოვრებელ კორპუსში.

ძირითად კორპუსს აქვს შვიდი სასეირნო ეზო, მათგან ხუთი პატარა და ორი დიდი ეზო. კორპუსი და ეზოში ინდივიდუალური გასასვლელები იმგვარად არის მოწყობილი, რომ საშუალებას იძლევა, ყველა სართულის პატიმრებმა განცალკევებით ისარგებლონ გასეირნების უფლებით, ისე რომ არ ჰქონდეთ ერთმანეთთან კონტაქტი.

დაწესებულების ტერიტორიაზე ბრალდებულებისთვის განკუთვნილი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი შენობა დაკეტილი იყო და პატიმრები არ ჰყავდათ მოთავსებული. ადმინისტრაციის განმარტებით, მათ ბრალდებულები ძირითად კორპუსში გადაიყვანეს და ეს შენობა დაკეტეს.

N19 დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, ტუბერკულოზით დაავადებული გ. ხ., ბ. მ. და კ. ლ. მოთავსებული ჰყავთ სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული პატიმრებისთვის განკუთვნილ შენობაში და არა ძირითად საცხოვრებელ კორპუსში, რადგან ძირითად კორპუსში მყოფ პატიმრებს შორის შესაძლოა ამან გამოიწვიოს უკმაყოფილება, ვინაიდან ისინი მიეკუთვნებიან გბტ თემს. ძირითადი კორპუსის მე-5 სართული დაკეტილია იმის გამო, რომ მომავალში შეიძლება შეიქმნას მისი გამოყენების გადაუდებელი აუცილებელობა, მაგალითად ეპიდემიის დროს. ამასთან ერთად, იმ შემთხვევაში თუკი გბტ თემს მიკუთვნებულ პატიმრებს განათავსებენ მეხუთე სართულის რომელიმე ფლიგელში, დასჭირდებათ დამატებითი პერსონალი, როგორც უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ასევე ჯანდაცვის კუთხით, რომლის საშუალებაც ამ ეტაპზე არ აქვთ.

დაწესებულების დირექტორის მოადგილის - ნ. კ-ს განცხადებით, მსჯავრდებულ გ. ხ-ს გადაყვანა ძირითად კორპუსში არ ხდება მისი სტატუსის გამო, რადგან სხვა პატიმრების მხრიდან არ იქნება მიმღებლობა. ამასთან, აღნიშნულ პატიმარს უტარდება მკურნალობა სამეურნეო ნაწილში.

N19 დაწესებულების მთავარი ექიმის – ა. ი-ს და გ. ხ-ს ერთ-ერთი მკურნალი ექიმის თქმით, იგი არ საჭიროებს ლოკაციის შეცვლას, რადგან ეს გამოიწვევს ძირითად კორპუსში განთავსებული პაციენტების გაღიზიანებას, “ისინი არ მიიღებენ გ. ხ-ს, რადგან სხვა კასტის წარმომადგენელია” და მას საფრთხე შეექმნება.

II. სამართლებრივი შეფასება

1. განმცხადებელთა მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა

საქართველოს კანსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებაშეზღუდულ პირს უნდა მოეპყრან ჰუმანურად და ადამიანისთვის თანდაყოლილი ღირსების პატივისცემით.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდული დახმარების სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს ა) პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და ბ) პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით მე-3 მუხლის მოქმედების ქვეშ მოსახვედრად, მოპყრობამ უნდა მიაღწიოს „ტანჯვის მინიმალურ ზღვარს“. ამ მინიმუმის შეფასება დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე, მოპყრობის კონტექსტსა და ხასიათზე, ასევე მის ხანგრძლივობაზე, მის მიერ გამოწვეულ ფიზიკურ და მენტალურ შედეგებზე და ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესზე, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.[4] იმისათვის რომ სასჯელი ან მოპყრობა შეფასებულ იქნეს, როგორც «არაადამიანური» ან «

[4]ECtHR, Dybeku v. Albania, App. No.: 41153/06, §36, 18/12/2007; Mikadzé v. Russia, App. No.: 52697/99, 07/06/2007, § 108;

დამამცირებელი», ტანჯვა უნდა სცდებოდეს იმ ზღვარს, რომელიც ახლავს კანონიერ სასჯელს.[5]

კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს, რომ თითოეული პატიმარი იმყოფებოდეს მისი ადამიანური ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი ან ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პირობებში ადეკვატურად იქნეს უზრუნველყოფილი პატიმრის ჯანმრთელობა.[6]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ საკანში სადაც არ არის ფანჯრები და სათანადო ვენტილაცია[7], არის ანტისანიტარია და სიბინძურე,[8] საპირფარეშო არ ფუნქციონირებს ნორმალურად და არ არის ჰიგიენურ მდგომარეობაში[9], სხვა გარემოებებთან ერთად ამყოფებს პატიმარს დამამცირებელ პირობებში. ამასთან ერთად, ავადმყოფი პატიმრის ყოფნა არაადეკვატურ საპატიმრო პირობებში, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.[10]

სამედიცინო დახმარება საპატიმროში შესაძლოა არ იყოს იმავე დონეზე, როგორც ეს არის თავისუფლებაზე მყოფი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, თუმცა მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ პატიმართა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ადეკვატურად იქნება უზრუნველყოფილი.[11]

წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა აღნიშნა, რომ იმ პატიმართა ფიზიკური გარემო, რომელთაც გადამდები დაავადებები აქვთ, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას უნდა შეესაბამებოდეს; გარდა ჯეროვანი განათებისა და ვენტილაციისა, აუცილებელია, რომ დამაკმაყოფილებლად იქნეს უზრუნველყოფილი ჰიგიენა.[12]

---

[5]ECtHR, Ghavtadze v. Georgia, App. No.: 23204/07, 03/03/2009, § 75;

[6]ECtHR, Mouisel v. France, App. No.: 67263/01, 21/05/2003, §40; Kudła v Poland [GC], App. No.: 30210/96, 26/10/2000, §94; Tekin Yildiz v Turkey, App. No.: 22913/04, 10/11/2005, §71;

[7]Peers v Greece, App. No.: 28524/95, 19/04/2001, §75;

[8]Ghavtadze v. Georgia, App. No.: 23204/07, 03/03/2009, §89; Nevmerzhitsky v. Ukraine, App. No.: 54825/00, 12/10/2005, § 87; Kalashnikov v. Russia, App. No.: 47095/99, 15/10/2002, § 98;

[9]Kalashnikov v. Russia, App. No.: 47095/99, 15/10/2002, § 99;

[10]Ghavtadze v. Georgia, App. No.: 23204/07, 03/03/2009, §76; Price v. The United Kingdom, App. No.: 33394/96, 10/10/2001, §30, Ilhan v. Turkey [GC], App. No.: 22277/93, 27/06/2000, § 87; Naumenko v. Ukraine, App. No.: 42023/98, 10/02/2004, § 112;

[11]Testa v Croatia, App. No.: 20877/04, 12/07/2007, §46;

[12]European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), 11th General Report on the CPT's activities, CPT/Inf(2001)16, Strasbourg 2001, §31; ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-11.htm;

სუფთა ჰაერი და დღის სინათლე არის ის ძირითადი ელემენტები, რომლითაც სარგებლობის უფლება აქვთ პატიმრებს. დღის შუქის, ჰიგიენის და სუფთა ჰაერის არ არსებობა კი ტუბერკულოზის გავრცელების საფრთხისშემცველია.[13]

პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესებისა და ციხის ევროპული წესების თანახმად,[14] პატიმრისათვის განკუთვნილი ყველა ადგილი, განსაკუთრებით საძინებელი უნდა აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობისთვის შესაბამის ყველა მოთხოვნას, კლიმატური პირობებისა და განსაკუთრებით, ჰაერის კუბური მოცულობის, იატაკის მინიმალური ფართის, ჯეროვანი განათების, გათბობისა და ვენტილაციის გათვალისწინებით; ასევე, პატიმართა ცხოვრებისთვის განკუთვნილ ადგილას ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად ფართო იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა ბუნებრივ სინათლეზე და მოწყობილი უნდა იყოს იმგვარად, რომ თავისუფლად მოძრაობდეს სუფთა ჰაერი, მიუხედავად იმისა არის თუ არა საკანში ხელოვნური ვენტილაცია.

განსახილველ შემთხვევაში, გ. ხ., ბ. მ. და კ. ლ. დაავადებულნი არიან ტუბერკულოზით. ისინი მათი სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის გამო არ არიან მოთავსებულნი ძირითად კორპუსში და განთავსებულნი არიან სამეურნეო კორპუსში სხვა ჯანმრთელ პატიმრებთან ერთად.

ის ფიზიკური გარემო, სადაც ისინი არიან განთავსებულნი არის სავალალო მდგომარეობაში. არც ერთი მათგანის საკანს არ აქვს ადეკვატური ფანჯრები და არ შემოდის დღის შუქი. ამასთან ერთად, ოთახი არის ჭუჭყიანი, არაჰიგიენური და ამასთან ერთად ტექნიკური გაუმართავობის გამო საცხოვრებლად საშიში. არ ხდება ოთახების სათანადო გათბობა. დერეფანი, საშხაპე და ტუალეტი საერთოდ არ არის გათბობით უზრუნველყოფილი. საშხაპე და ტუალეტი არის მოუწესრიგებული.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაცია ახდენს განმცხადებლების მედიკამენტოზურ მკურნალობას, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მათი დახშულ, არავენტილირებულ, მზის სხივებით და ჟანგბადით ცუდად უზრუნველყოფილ ფიზიკური გარემოში მოთავსება შეუთავსებელია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან და არსებობს რისკი, რომ ამან მათი მდგომარეობის გაუარესება

[13]The European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), Extract from the 11th General Report [CPT/Inf (2001) 16], published in 2001, §§ 30, 31;

[14]United Nations, *Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners (the Nelson Mandela Rules)*, 17 December 2015 & Recommendation Rec(2006)2 of the Committee of Ministers to member states on the European Prison Rules, Adopted by the Committee of Ministers on 11 January 2006 at the 952nd meeting of the Ministers' Deputies, §§§ 18.1, 18.2, 19,2.

გამოიწვიოს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ N19 დაწესებულების მიერ განმცხადებელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა ადეკვატურად არ ხდება. ამასთან ერთად, ზემოთ აღწერილი არასათანადო ციხის პირობები თავისი ხასიათითა და სიმძიმით ადამიანს აყენებს ფსიქიკურ და ფიზიკურ ტანჯვას, იწვევს მისი ღირსების შელახვას და წარმოუშობს დამცირებისა და შეურაცხყოფის გრძნობებს. გამოწვეული ტანჯვა სცდება იმ ზღვარს, რომელიც თან ახლავს კანონიერ სასჯელს. განმცხადებლების მიერ განცდილი ტკივილი კიდევ უფრო მძლავრდება იმ ფაქტის შეგრძნებით, რომ ისინი აღნიშნულ პირობებში მხოლოდ იმიტომ არიან მოთავსებულნი, რომ ადმინისტრაცია მათ გბტ თემს მიაკუთვნებს.

სახალხო დამცველი, ასევე, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ტუბერკულოზით დაავადებული აღნიშნული სამი პატიმარი განთავსებულია ჯანმრთელ პატიმრებთან ერთად, რაც წარმოშობს ამ უკანასკნელთა დაინფიცირების სერიოზულ რისკს. მსგავსი გადამდები დაავადების არსებობის დროს, ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რომ არ მოხდეს მისი გავრცელება და სხვათა დაინფიცირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ციხის პირობები, რომელშიც განმცხადებლები არიან მოთავსებულნი, წარმოადგენს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს.

2. განმცხადებელთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს,

გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ***საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ,*** არ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და იგი ***დასახული მიზნის არათანაზომიერია.***

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდანაც. ევროპის სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) ქვეშ, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,*** ე.ი. ***არ ისახავს კანონიერ მიზანს*** და არ არსებობს

პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.[15]

როგორც სახალხო დამცველმა ზემოთ აღნიშნა განმცხადებელთა მიმართ ადგილი ჰქონდა დამამცირებელ მოპყრობას. შესაბამისად, სახალხო დამცველის მიერ შეფასდება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის დროს ჰქონდა თუ არა ადგილი დისკრიმინაციულ მოპყრობას განმცხადებელთა მიმართ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.[16]

განსახილველ შემთხვევაში, N19 დაწესებულებაში, ტუბერკულოზის სამკურნალო პროგრამაში ჩართული 88 პატიმრიდან 74 პატიმარი ცხოვრობს ძირითად კორპუსში, ხოლო 11 პატიმარი იმყოფება ქრონიკური ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართათვის განკუთვნილ ნაწილში. სამივე განმცხადებელი, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო განთავსებულები უნდა იყვნენ ძირითად კორპუსში, მსგავსად იმ 74 პატიმრისა, ვინც დაავადებულია ტუბერკულოზით და ცხოვრობს ძირითად კორპუსში, ჯანმრთელობისათვის ადეკვატურ პირობებში. თუმცა ვინაიდან ადმინისტრაცია განმცხადებლებს მიაკუთვნებს გბტ თემს, ისინი განათავსა სამეურნეო ნაწილში ჯანმრთელ პატიმრებთან ერთად. გამოკვლეულმა ფაქტობრივმა გარემოებებმა ცხადყო, რომ ძირითად კორპუსში მაცხოვრებელი პატიმრები არიან გაცილებით უკეთეს საცხოვრებელ პირობებში, საკნები არის კარგად მოწყობილი და უზრუნველყოფილი მათი ჯანმრთელობის შესაბამისი პირობებით, ვიდრე სავარაუდო დისკრიმინაციის სამი მსხვერპლი. შესაბამისად, განმცხადებლების მიმართ ადგილი აქვს არახელსაყრელ მოპყრობას ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით.

---

[15]Eweida and others v. United Kingdom, App. Nos.: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, §87-88; Burden v. United Kingdom, App. No.: 13378/05, 29/04/2008, §60;

[16]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II.19;

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში, დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა. შესაბამისად, არსებითი არ არის განმცხადებლები ნამდვილად არიან თუ არა მითითებული სექსუალური ორიენტაციის მქონენი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კანონის შესაბამისად, ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, მას აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის თანაზომიერია.

N19 დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით, *განმცხადებელთა გადაყვანა ძირითად კორპუსზე არ ხდება მათი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ვინაიდან* აღნიშნული გამოიწვევს სხვა პატიმართა უკმაყოფილებას, ძალიან დაბალი იქნება მიმღებლობა და მათ შეექმნებათ საფრთხე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან თავისუფლებააღკვეთილი პირები იმყოფებიან სახელმწიფოს სრული კონტროლის ქვეშ, ისინი წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად კატეგორიას. თავის მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მათი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.[17] სახელმწიფოები ვალდებულნი არიან დაიცვან პატიმრების უსაფრთხოება და ღირსება, მათ შორის ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების დასაცავად გაატარონ სპეციალური ღონისძიებები; იზრუნონ, რომ ისინი არ გახდნენ გაუპატიურების ან სხვაგვარი ძალადობის მსხვერპლნი არც პატიმრების და არც მომსახურე პერსონალის მხრიდან.[18] აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პატიმართა უსაფრთხოების დაცვა ლეგიტიმურ მიზნად შეიძლება იქნეს მიჩნეული. თუმცა ამავე დროს იგი დასახული მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ ლეგიტიმური მიზანი მიღწეულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ გამოყენებული იქნეს უფლების ყველაზე

[17]ECtHR, Makharadze and Sikharulidze v. Georgia, App. No.: 35254/07, 22/11/2011, §71-72; Renolde v. France, App. No.: 5608/05, 16/10/2008, § 83;

[18]Council of Europe, *Recommendation CM/Rec(2010)5 of the Committee of Ministers to member states on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity*, Marich 31, 2010, § 4;

ნაკლებად მზღუდავი საშუალება; სახელმწიფოს აქვს პასუხისმგებლობა, რომ სამართლიანად დააბალანსოს შეპირისპირებული ინტერესები.[19]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციის აკრძალვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც განსხვავებული მოპყრობა დაკავშირებულია პატიმრობაში მყოფ პირთან; სახელმწიფოს ამ შემთხვევაში აქვს ვიწრო შეფასების ზღვარი და პროპორციულობის არსებობა არა მხოლოდ მოითხოვს, რომ გამოყენებული საშუალება იყოს მიღწეული მიზნის თანაზომიერი, არამედ ასევე, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება აჩვენოს, რომ გამოყენებული საშუალებები აუცილებელი იყო კონკრეტულ შემთხვევებში.[20] როდესაც განსხვავების მიზეზი ხდება ადამიანის პირადი ცხოვრების ასეთი ინტიმური სფერო, გასაკუთრებით წონადი არგუმენტებია საჭიროა რათა გამართლებული იყოს ეს განსხვავებული მოპყრობა.[21] ამას გარდა, სასამართლო უთითებს, რომ თუ პატიმარი განცალკევებულ უნდა იქნას სხვა პატიმრებისგან, იგი უნდა მოთავსდეს ისეთ ადგილას, რომელიც შეესაბამება მის სამედიცინო საჭიროებებსა და კეთილდღეობას.[22]

სახალხო დამცველი იმ საკითხის შეფასებისას თუ რამდენად იყო განმცხადებელთა სამეურნეო ნაწილში მოთავსება დასახული მიზნის პროპორციული მხედველობაში მიიღებს ისეთ გარემოებებს, როგორიცაა გამოყენებული საშუალების გამოსადეგობა და აუცილებელობა დასახული მიზნის მისაღწევად. აღნიშნული გულისხმობს იმის შემოწმებას, არის თუ არა უფლებაში ჩარევის გამოყენებული ზომა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ადეკვატური საშუალება და არსებობდა თუ არა სხვა ისეთი საშუალება მიზნის მისაღწევად, რომელიც ნაკლებად მზღუდავი და ნაკლები ზიანის მომტანი იქნებოდა განმცხადებლებისთვის. სახალხო დამცველი აცნობიერებს, რომ არსებობს საშიშროება ლგბტ თემის წარმომადგენელს სხვა პატიმრებისგან დაემუქროთ საფრთხე და შესაბამისად ადმინისტრაციას უწევს განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომების მიღება, თუმცა გამოყენებული ზომები დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული უნდა იყოს და არ უნდა იწვევდეს ადამიანის უფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას.

---

[19]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/4/557,571,576, II.პ.27;

[20]X v. Turkey, App. No.: 24626/09, 27/05/2013, §57;

[21]X v. Turkey, App. No.: 24626/09, 27/05/2013, § 50; Alekseyev v. Russia, App. Nos.: 4916/07, 25924/08, 14599/09, 21/10/2010, § 108; Kozak v. Poland, app. No.: 13102/02, 02/03/2010, §83;

[22]Martzaklis and others v. Greece, App. No.: 20378/13, 09/10/2015, §71;

როგორც ფაქტებში იყო აღნიშნული, N19 დაწესებულებაში არსებობს ძირითადი კორპუსი, რომელიც არის კეთილმოწყობილი. ადმინისტრაცია განმარტავს, რომ თუ განმცხადებლებს მოათავსებს ძირითადი კორპუსის მე-2-4 სართულებზე, ეს გამოიწვევს იქ მოთავსებული პატიმრების უკმაყოფილებას, მიუღებლობას და შეიძლება საფრთხე შეიქმნას განმცხადებლების უსაფრთხოებისთვის. მე-5 სართულის რომელიმე ფლიგელში მათ გასათავსებლად კი დასჭირდებათ დამატებითი პერსონალი, როგორც უსაფრთხოების, ასევე ჯანდაცვის კუთხით, რისი საშუალებაც ამ ეტაპზე არ აქვთ.

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ძირითადი კორპუსის მეხუთე სართულზე საკნები უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ინვენტარით. ამასთან დაწესებულების ეზოებში ინდივიდუალური გასასვლელები საშუალებას იძლევა, რომ ყველა სართულის პატიმრებმა განცალკევებით ისარგებლონ გასეირნების უფლებით, ისე რომ არ ჰქონდეთ ერთმანეთთან კონტაქტი. დამატებით, დაწესებულებაში არსებობს კიდევ ერთი კეთილმოწყობილი შენობა, სადაც ბრალდებულები უნდა იყვნენ განთავსებულნი, თუმცა აღნიშნული შენობა დაკეტილია.

სახელმწიფო ვალდებულია, არსებული ტექნიკური თუ ფინანსური პირობების მიუხედავად, თავისი პენიტენციური სისტემა იმგვარად მოაწყოს, რომ უზრუნველყოფილი იქნას დაავადებული პატიმრების პატივისცემა და ღირსება.[23] სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ციხეში არსებული დამამცირებელი პირობები ვერ იქნება გამართლებული რესურსების არასაკმარისობით.

ამასთან ერთად, სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს N19 დაწესებულების ადმინისტრაციის არგუმენტს, რომ განმცხადებელთან მე-5 სართულზე განსათავსებლად აუცილებელია დამატებითი პერსონალი ჯანდაცვის კუთხით. განმცხადებლებს უტარდებათ სამედიცინო მკურნალობა წამლების მიწოდებითა და ექიმის მომსახურებით. შესაბამისად, თუ რატომ გამოიწვევს იგივე ექიმის მომსახურება და წამლების მიწოდება მე-5 სართულზე ჯანდაცვის კუთხით რესურსის გაზრდას ადმინისტრაციამ ვერ დაასაბუთა. ასევე, ადმინისტრაციამ ვერ

[23]ECtHR, Dobri v. Romania, App. No.: 25153/04, 14/11/2010, §44; § 76; Sukhovoy v. Russia, app. no 63955/00, 27/03/2008, §31; Benedictov v. Russia, app. no 106/02, 10/05/2007, §37.

მიუთითა კონკრეტულად რა რესურსი არის საჭირო მე-5 სართულზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამასთან ერთად, ჰიპოთეტური არგუმენტი, რომ მომავალში შეიძლება შეიქმნას მე-5 სართულის გამოყენების აუცილებლობა, მიუთითებს ადმინისტრაციის ზედაპირულ დამოკიდებულებაზე განმცხადებელთა და მათი საჭიროებების მიმართ. შესაბამისად, აღნიშნული ვერ გაამართლებს მე-5 სართულზე განთავსებაზე უარს და განმცხადებელთა დამამცირებელ პირობებში მოთავსებას.

ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა ვერანაირი გეგმა, დოკუმენტი, სადაც ნამსჯელი და შეფასებული იქნებოდა განმცხადებელთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების საკითხი, მე-5 სართულზე მათი განთავსების რისკები და ამისთვის საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსები.

ის ფაქტი, რომ დაწესებულებას არსებული ადამიანური რესურსით შეუძლია ტუბერკულოზით დაავადებული გბტ თემს მიკუთვნებული პატიმრების უსაფრხოების უზრუნველყოფა ძირითად კორპუსზე, მყარდება იმ გარემოებითაც, რომ ადმინისტრაცია იძულებული გახდა პატიმარი რ.გ., რომელიც მანამდე მომჩივნებთან ერთად იყო მოთავსებული სამეურნეო ნაწილისთვის განკუთვნილ საცხოვრებელში და ასევე მიაკუთვნებდა გბტ თემს, გადაეყვანა ძირითად საცხოვრებელ კორპუსში, ვინაიდან იგი ხშირად იყენებდა თვითდაზიანებებს. აღნიშნული პატიმარი ამჟამად ცხოვრობს დაწესებულების ძირითად კორპუსში, ბრალდებულთათვის განკუთვნილ ფლიგელში, ისე რომ მისი უსაფრთხოება უზრუნველყოფილია.

N19 დაწესებულების ადამინისტრაციამ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენა უკიდურესი საშუალება და მოახდინა დაავადებული პატიმრების დამამცირებელ გარემოში განთავსება. შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებლები განთავსებულნი არიან ყველაზე ცუდ პირობებში იმ დაწესებულებაში მცხოვრებ ყველა სხვა პატიმართან შედარებით. აღნიშნულით ადმინისტრაცია ხელს უწყობს მომჩივანთა სტიგმატიზაციასა და პენიტენციურ სისტემაში მავნე და ფესვგადგმული სტერეოტიპების კიდევ უფრო გამყარებას, რაც გამოიხატება გბტ თემის არასასურველ კატეგორიად წარმოდგენაში, მათ გარიყვასა და მარგინალიზაციაში.

განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N19 დაწესებულების მიერ გამოყენებული საშუალება, რაც გამოიხატა ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა მათი ჯანმრთელობისა და ღირსების შეუსაბამო გარემოში განთავსებაში, ეფუძნებოდა მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნულ პირთა მიმართ არსებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას მათი სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის გამო და არ იყო მათი უსაფთხოების უზრუნველყოფისა და შესაბამისად, ამ მიზნის მიღწევის გონივრული, თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ ჩაიდინა პირდაპირი დისკრიმინაცია გ. ხ-ს, ბ. მ-ს და კ. ლ-ს მიმართ, მათი სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის ნიშნით.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-20[1] მუხლის და ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, რომ უზრუნველყოს ტუბერკულოზით დაავადებული მსჯავრდებულების - გ. ხ-ს, ბ. მ-ს და კ. ლ-ს გადაყვანა დაწესებულების ძირითად კორპუსში და მოხდეს მათი ჯანმრთელობისა და ღირსებისთვის ადეკვატურ ფიზიკურ გარემოში მკურნალობა, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მათი უსაფრთხოება. ამასთან, საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით და მომავალში არ მოახდინოს დისკრიმინაციული მოტივებით პატიმართა უთანასწორო მდგომარეობაში ჩაყენება.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად.

პატივისცემით,